ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2025 წლის 3 ივლისი

ხაშური

მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისათვის შპს „პარკ ჰოტელის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთების (მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ჩუმათელეთი, საკადასტრო კოდი 69.04.56.616, 69.04.56.014) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, ამავე დადგენილების №5 დანართის მე-9 პუნქტის საფუძველზე, „სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისათვის შპს „პარკ ჰოტელის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთების (მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ჩუმათელეთი, საკადასტრო კოდი 69.04.56.616 და 69.04.56.014) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.12.2024 წ-ის №61 განკარგულების გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის (სასტუმრო, აპარტოტელები, კოტეჯები, კემპინგი, სპორტული და სარეკრეაციო ზონები) მშენებლობისათვის შპს „პარკ ჰოტელის“ (ს/ნ 405030327) კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების (მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ჩუმათელეთის დასახლება), საკადასტრო კოდი 69.04.56.616, დაზუსტებული ფართობი – 72 844.00 კვ.მ და ს/კ 69.04.56.014, დაზუსტებული ფართობი – 24 380.00 კვ.მ განაშენიანების დეტალური გეგმა წარმოდგენილი დანართის შესაბამისად;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნინო ლიპარტელიანი**